ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1167279

ნომერი: AR1199545

თარიღი : 24.02.2014

გაცემის თარიღი : 14.03.2014

გაცნობის თარიღი : 15.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვეთი N1/37) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვეთი N1/37) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვეთი N1/56) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვეთი N1/34) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვეთი N1/33) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვეთი N1/34) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 80გ ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვ. 1/49) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 ; ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N80-ში ს/ს "სასტუმრო ვაკე"-ში შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს, (ნაკვეთი N1/47) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვეთი N1/44) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვეთი N1/39) ; ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N80-ში ს/ს "სასტუმრო ვაკე"-ში შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს, (ნაკვეთი N1/48) ; ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N80-ში ს/ს "სასტუმრო ვაკე"-ში შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს, (ნაკვეთი N1/46) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

2014 წლის 24 თებერვლის #AR1199545 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებას, გაცნობებთ შემდეგს: აღნიშნული საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო განვითარების საკითხი განიხილა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ 2014 წლის 27 თებერვლის #8 სხდომამ, რომელზეც წარმოდგენილ დოკუმენტაციას მიეცა დადებითი რეკომენდაცია. კორექტირებული პროექტის შესათანხმებლად განაცხადის „განაშენიანების რეგულირების გეგმის ელექტრონული ალბომი“–ს ველში უნდა წარმოადგინოთ შესწორებული პროექტი:

1) ზემოაღნიშნული საბჭოს წევრთა რეკომენდაციის შესაბამისად კორექტირებული პროექტის ცვლილება უნდა აისახოს გენგეგმის მხოლოდ „D” ბლოკის ფარგლებში.
2) დღევანდელი მდგომარეობით წარმოდგენილ გეგმაზე ცალკე გამოყოფილი “E” ბლოკი კვლავ უნდა გაერთიანდეს „A” ბლოკთან, ისე როგორც ეს ასახულია პროექტის პირველადი შეთანხმების სტადიაზე. ასევე მოიხსნას მისი განაშენიანებისთვის განსაზღვული ტექნიკურ ეკონომკური მაჩვენებლები.
3) ამასთან შესათანხმებელ დოკუმენტაციაში, დაფიქსირებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დათვლილია, დღევანდელი მდგომარეობით მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. მაშინ როდესაც საპროექტო ტერიტორიაზე გაცემული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებას, საფუძვლად უდევს მისი გაცემის სტადიაზე მოქმედი კანონმდებლობა. შესაბამისად ყველა მაჩვენებელი უნდა დაფიქსირდეს იმ კანონმდებლობის გათვალისწინებით რომელიც მითითებულია ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისას.
4) წარმოსადგენია განაშენიანების რეგულირების გეგმის საზღვრებში შემავალი რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მფლობელების მინდობილობები განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების თაობაზე.

-

დოკუმენტაცია შეგიძლიათ ატვირთოთ დახარვეზებულ ველში;

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 30 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 24 თებერვალს, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 14 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 16 სამუშაო დღე. თუ თქვენს მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.